ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 354/01
13/01/2020

354-01-2-202001131711

შპს „ჯითი ელექტრიკ კომს“
მის: *ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N34-36*

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 19 ნოემბრის №16590 განცხადება, რომელიც ეხება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით განმეორებით წარმოდგენილ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. განახლებაში ზეთების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და შესაბამის დოკუმენტაციას.

როგორც 2019 წლის 12 დეკემბრის N12314/01 წერილით გეცნობათ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ საწარმოს ტერიტორიის ადგილზე გადამოწმების შედეგებისა და შესაბამისი ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენამდე სამინისტრომ შეაჩერა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ სამინისტროში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ტერიტორიის ადგილზე გადამოწმების შედეგად მოწყობილი ბეტონის ჯებირი მდებარეობს მდ. ბარცხანას კალაპოტში, ასევე შპს „ჯითი ელექტრიკ კომის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთი ბეტონის ნაგებობიდან დაშორებულია 7-11 მეტრით, ხოლო წყლის ნაპირიდან 12-14 მ-ით. ვინაიდან, მდ. ბარცხანას წყალდაცვითი ზოლი შეადგენს 10 მ-ს საწარმოს ნაწილი კვლავ ხვდება მდინარის წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, ნაპირდაცვითი და სანაპირო ზოლის ეროზიის შესაკავებლად ან/და სანაპირო ზოლის აღდგენის მიზნით გათვალისწინებული სამუშაოები ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, მაგრამ აღნიშნულ ნაპირსამაგრ ნაგებობასთან დაკავშირებით სამინისტროს მიერ არ არის გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილება, ნაპირსამაგრ ღონისძიებებთან დაკავშირებული საკითხები წარმოდგენილი უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშში. ნაპირსამაგრ ნაგებობასთან დაკავშირებით გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სამინისტროში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, შპს „ჯითი ელექტრიკ კომ“-ის მიმართ შედგენილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^7-ე მუხლის,

პირველი ნაწილის შესაბამისად. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაპირსამაგრი ნაგებობის დეტალური საპროექტო ღონისძიებები და მის მოწყობასთან დაკავშირებული შესაბამისი ზემოქმედების საკითხები (ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე, ჰიდროლოგიურ გარემოზე, იქთიოფაუნაზე და სხვა). ასევე, გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ერთოდეს ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში (თავი 3.1, გვ 10) აღნიშნულია, რომ უახლოესი მოსახლე საწარმოს ტერიტორიიდან მდებარეობს 40 მ-ში, ასევე ანგარიშში (თავი 6.2.4, გვ 51) აღნიშნულია, რომ საწარმოდან უახლოესი მოსახლე დაშორებულია 90 მ-ით. ამასთან, ატმოსფერულ ჰაერში ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში მოცემულ ცხრილში (გვ 6) აღნიშნულია, რომ საწარმოდან უახლოესი მოსახლე დაშორებულია 145 მ-ით. მოცემული ინფორმაციები ურთიერთსაწინააღმდეგოა და საჭიროებს დაზუსტებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სიტუაციური სქემა საწარმოს ტერიტორიიდან უახლოეს მოსახლეებთან დაცილების მანძილების მითითებით, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს სიტუაციური სქემა, სადაც მითითებული იქნება უშუალოდ გაფრქვევის წყაროებიდან მანძილი უახლოეს მოსახლეებამდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამინისტრო ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. განახლებაში ზეთების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე წყვეტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას.

გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „ჯითი ელექტრიკ კომის“ მიერ სამინისტროში წარმოდგენილი იქნება ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით გადამუშავებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში შესაბამისი დოკუმენტაციით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე